2015 წლის 12 ნოემბერს[65] საინფორმაციო სააგენტო ინფო 9-ზე გამოქვეყნდა ინფორმაცია, სათაურით "ავიაკომპანია „ჩინეთის სამხრეთ ავიახაზებმა" 2016 წელს თბილისიდან ურუმჩის გავლით დაგეგმილ ახალ მიმართულებებზე პრეზენტაცია გამართა". მასალას, რომელშიც სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა და ჩინეთის სამხარეთ ავიახაზების მარკეტინგის დეპარამენტის ხელმძღვანელების მოსაზრებები იყო გამოთქმული, რეკლამის აღმნიშვნელი ნიშანი არ ერთვოდა. ეკონომიკის სამინისტროს შპს საქართველოს აეროპირტების გაერთიანების INFO 9-სთან გაფორმებული ხელშეკრულებისა და 2015 წლის 30 ნოემბრით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტით ირკვევა, რომ 12 ნოემბერს სააგენტოს ვებგვერდზე მასალა შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დაკვეთით განთავსდა.

### წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში  რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საქართველოს საარჩევნო კოდექსით არის აკრძალული.  კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, იკრძალება  სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება.

ამ ჩანაწერის თანახმად, იკრძალება საჯარო დაწესებულებებისათვის განკუთვნილი საინფორმაციო მომსახურებების გამოყენება საარჩევნო მიზნებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ მედიის საინფორმაციო მომსახურება გამოყენებული იქნება არა საჯარო ინტერესებისათვის, არამედ ემსახურება კონკრეტული პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის მიზნებს, ამ მომსახურებით სარგებლობა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნულ მომსახურებაზე  ხელშეკრულებები წინასაარჩევნო პერიოდამდე იქნება გაფორმებული.

საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით ისეთი სააგიტაციო მასალის, ვიდეო ან აუდიომასალის დამზადება, ვებგვერდის ან მისი ნაწილის შექმნა, რომელშიც/რომელზედაც ასახულია ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი/პოლიტიკური პარტია ან მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი ან/და რომელიც შეიცავს ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერ/საწინააღმდეგო ინფორმაციას. იმავე პერიოდში აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით დამზადებულ სოციალურ რეკლამაში საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის ან მისი რიგითი ნომრის გამოყენება.

[65] http://www.info9.ge/ekonomika/biznrsi/133018